ოქმი:**ო31. 3123305001**
თარიღი:**01/11/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N14

ქ. ლანჩხუთი

25. 10. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) მოვალეობის შემსრულებელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა ორი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქისათვის“ (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მაია აფხაზავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქისათვის“ (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6.სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

სხდომას შემოუერთდნენ საკრებულოს წევრები ირმა მგელაძე და გივი ცინცაძე.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 19 ივლისს N1334 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო (ორგ.კოდი 0201) სამუშაოების დაფინანსება 35740 ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 22 აგვისტოს N1530 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით, გზების რეაბილიტაციის (ორგ.კოდი 0201) დაფინანსება გაიზარდა 1550000 ლარით. აქედან, გაიზარდა აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან სოფელ გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია 300001 ლარით, მათ შორის: რეგ.ფონდიდან - 285000 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტი - 15001 ლარი; მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია გაიზარდა 869800 ლარით, მათ შორის: რეგ.ფონდის ხარჯზე - 826310 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება-43490 ლარი. ჩიბათის ადმინისტარციულ ერთეულში სოფელ ჭალაში გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 37084 ლარი, რეგ. ფონდი - 35229 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 1855 ლარი; ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რეაბილიტაციაზე მიიმართა 424696 ლარი. აქედან, რეგ.ფონდიდან - 403461 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება- 21235 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 13 აპრილს N700 განკარგულებით, 15 მაისის N894 განკარგულებით და 7 სექტემბერს N1607 განკარგულებებით გამოიყო 3750000 ლარი: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის დაფინანსებაზე 712878 ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციაზე 187122 ლარი, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა - რეაბილიტაციაზე 1750000 ლარი და გზების კაპიტალურ შეკეთებაზე 1100000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის N1640 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ნაგავმზიდის შესაძენად გამოეყო 396180 ლარი, მათ შორის 2023 წელს გადასახდელად 158472 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის N1740 განკარგულებით სტიქიის შედეგად განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყო 170000 ლარი (სექტემბრის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმროს ხარჯების დაფინანსებისათვის).

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის სუბსიდიის მუხლის 97100 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივები 40000 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლი 57100 ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაცია „GIZ“-დან გამოიყო გრანტი ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის, ავტო სალაროს და ბავშვთა გასართობი სკვერის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის. დაფინანსებამ შეადგინა 37777 ლარი. საერთაშორისო ორგანიზაცია „GIZ“-დან გამოყოფილი გრანტი 100000 ლარი მიიმართოს არაფინანსური აქტივების მუხლში 35000 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლში 65000 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის სხვა ხარჯების მუხლის 30000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მერიის საქონელი და მომსახურების ხარჯი 25000 ლარით და ახალგაზრდობის მხარდაჭერის ღონისძიებების დაფინანსდება 5000 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 მარტის N545 განკარგულებით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 225711 ლარით. (ზიპლაინი).

საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების მომსახურების ხარჯი გაიზარდოს 830 ლარით.

ანალიზის შედეგად უნდა განხორციელდეს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ: ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეღებვა 8173 ლარი, ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში ჟორდანიას ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკების ადაპტირება შშმ პირებზე 111155 ლარი და ქალაქ ლანჩხუთში მოსაცდელის მოწყობა 19500 ლარი, ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია 120500 ლარი, ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. გულიანში შინმოუსვლელთა სტენდის მოწყობა 8613 ლარი, მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობა 26555 ლარი.

ქ.ლანჩხუთში ცენტრალურ სკვერში საპირფარეშოს და ღია კაფეს ელ.ენერგიის, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის დაერთების ღირებულება 10200 ლარი. საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 40000 ლარი.

კულტურის ხელშეწყობის პროგრამაში (05.02.02) საქონელი და მომსახურების მუხლიდან 442 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის პროგრამა კოდი (0403) სხვა ხარჯების მუხლი 442 ლარით. განათლების ხელშეწყობის პროგრამა გაიზარდოს 8300 ლარით. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების არაფინანსური აქტივების მუხლის 15000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 15000 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა ორგანიზაციულ კოდებს შორის თანხის გადანაწილება: 03 01 არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 150000 ლარით, ტრანსპორტის ექსპლუატაცია -რეაბილიტაციის შენახვის ხარჯის 150000 ლარით შემცირების ხარჯზე, საქონელი და მომსახურების 950 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 950 ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების (02 07) 3700 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია შრომის ანაზღაურების მუხლის 5075 ლარით, ტრანსპორტის მუხლის 22275 ლარის, წყლის სისტემის ექსპლუატაციის ტრანსპორტის 2300 ლარის, არაფინანსური აქტივების 3000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 5850 ლარით და წყლის სისტემის ექსპლუატაციის შტატით მომუშავეთა ანაზღაურება 950 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 29550 ლარი.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების შრომის ანაზღაურების 5800 ლარის შემცირების ხარზე გაიზარდოს ოფისის მუხლი 5800 ლარით.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება გაიზარდოს 3100 ლარით.

შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთის დაფინანსება გაიზარდოს 35000 ლარით.

შპს ლანჩხუთის დაფინანსება გაიზარდოს 10000 ლარით.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება შრომის ანაზღაურების მუხლის 3800 ლარის, სხვა ხარჯების მუხლის 5200 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 9000 ლარით და დამატებით გამოეყოს არაფინანსური აქტივების მუხლში 6000 ლარი.

„შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 16) 11000 (თერთმეტი ათასი) ლარით, „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 18) 1000 (ათასი) ლარით, „მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში - დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის “ (პროგრამის კოდი 06 02 20) 3000 (სამიათასი) ლარით, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 02) 700 (შვიდი ათასი) ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ტრანსპორტირების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 01) 21000 (ოცდაერთი ათასი) ლარით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 07) 3000 (სამი ათასი) ლარით, „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის (პროგრამის კოდი 06 02 23) 13 000 (ცამეტი ათასი) ლარით, „რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა“. (პროგრამის კოდი 06 02 25) 10 000 (ათი ათასი) ლარით, „უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 13) შემცირების ხარჯზე 1000 (ერთი ათასი), 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით გაიზარდოს „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 09), 22000 (ოცდაორი ათასი) ლარით „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა” (პროგრამის კოდი 06 02 17), 19600 (ცხრამეტი ათას ექვსასი) ლარით „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 03); 7200 (შვიდი ათას ორასი) ლარით ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა" (პროგრამის კოდი 06 02 10), 1200 (ათას ორასი) ლარით ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 22), 5000 (ხუთი ათასი) ლარით „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 14) „სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შესაძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის ქვეპროგრამაზე“. დამატებით გაიზარდოს 10000 (ათი ათასი) ლარით „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა”(პროგრამის კოდი 06 02 17) პროგრამაში. 40000 ლარით გაიზარდოს (პროგრამის კოდი 06 02 12) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა.

გაზრდილი გადასახდელების დაფინანსება და არაფინანსური აქტივების კლების გეგმის 68000 ლარით შემცირება განხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმის 271400 ლარით, სანქციების, ჯარიმების და საურავების გეგმის 100000 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმის 93237 ლარით ზრდის ხარზე.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი გოგუაძის** განცხადებით, პროექტის სირთულიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, საკითხი განსახილველად გამოეტანა მუნიციპალიტეტის მერს, ხოლო თანამომხსენებლად უნდა იყვნენ მერიის შესაბამისი სამსახურების უფროსები. გარდა ამისა, წარმოდგენილ პროექტს ინფრასტრუქტურული კუთხით უნდა ახლდეს მოხსენებითი ბარათი ჩაშლილი

სახით. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ სტიქიასთან დაკავშირებით, საერთო ჯამში საუბარია 3750000 ლარის გამოყოფაზე, რაც საკითხს მეტ-ნაკლებად ბუნდოვანს ხდის, რადგან გამოდის, რომ ახლა მოვიდა გასული წლის სტიქიის თანხა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ დაფინანსება ხდება ეტაპობრივად, ათვისების მიხედვით. ბოლო თანხა, რაც მიმდინარე წელს გამოიყო, არის 1 700 000 ლარი. საერთო ჯამში იქნება 3 750 000 ლარი. დაფინანსება, მოსულია, ახლა ხდება ბიუჯეტში ასახვა. შესაბამისად, ბოლო სტიქიის თანხის გამოყოფა, რაც დაახლოებით 40 000 000 ლარს შეადგენს, მოხდება ეტაპობრივად.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი გოგუაძის** განცხადებით, ფრაქციის სხდომაზე აღნიშნულ საკითხს მხარი ვერ დაუჭირეს, რადგან ახსნა-განმარტება ვერ მიიღეს იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, როცა სტიქიის დროს, ადგილობრივი მოსახლეობის განთავსება მოხდა შეკვეთილის სასტუმროებში, მაშინ როცა მუნიციპალიტეტში, კერძოდ, გრიგოლეთში სასტუმროები იყო დაკეტილი. შესაბამისად, მთავრობის მიერ ამ კუთხით გამოყოფილი თანხა წავიდა სხვაგან და არ დარჩა მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მიმდინარე წლის 8 სექტემბრის სტიქიის პირველივე წუთებიდან მერიის სამსახურების უფროსებთან ერთად იმყოფებოდა ადგილზე, სანამ არ იქნა ნაპოვნი დაღუპული ბავშვი. ღამის 11 საათზე სოფელ ჩოჩხათის მიმართულებით გავიდა სამი ჯგუფი: რევაზ კვერენჩხილაძის, თორნიკე ტიკაძის და პირადად, მისი ხელმძღვანელობით. ღამის 3 საათიდან დაიწყო სოფელ წიაღობანის მოსახლეობის გამოყვანა. ამ დროისთვის უკვე მიმდინარეობდა სოფელ ხორეთის მოსახლეობის ევაკუაცია. ისეთ საგანგებო სიტუაციაში, როცა ხიდთან მდგარი მოსახლეობა, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვები, ელოდნენ დახმარებას, შეუძლებელი და წარმოუდგენელია, დაეწყოთ სასტუმროების და მათი მეპატრონეების შერჩევა. ასეთ დროს, არანაირ პოლიტიკურ მიდგომას არ ჰქონია ადგილი. იყო სასტუმროების ნუსხა, სადაც განხორციელდა სატელეფონო ზარი, მათ შორის, გრიგოლეთშიც. ყველაზე მეტი მზაობა გამოთქვა სასტუმრო ,,ეგრისმა", რომლის მომსახურებასთან დაკავშირებით მოქალაქეებს მადლობის გარდა არაფერი არ გამოუთქვამთ. რამდენიმე ოჯახის გადაყვანა განხორციელდა ქ. ფოთში, ნათესავებთან, რადგან ფიზიკურად რესურსიც არ იყო. პირველ დღეს მომსახურების ფასზეც კი არ იყო საუბარი, ოღონდ კი ხალხი მიეღო რომელიმე სასტუმროს. მომდევნო დღეებში კი, ურეკის სასტუმროებმა ბევრად ნაკლები ფასი მოითხოვა, ვიდრე სასტუმროებმა გრიგოლეთში და ,,ეგრისმა".

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო ორგანიზაცია „GIZ"-ს მიერ გამოყოფილ გრანტზე და დაინტერესდა, უკვე ცნობილია, თუ რა თანხა დაჭირდება ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის, ავტო სადგურის და ბავშვთა გასართობი სკვერის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და რის მიხედვით განისაზღვრა 37777 ლარი. ასევე დაინტერესდა, ვინ დააპროექტა სოფელ ორაგვეში ზიპლაინის მოწყობა და თუ აქვს ამ კომპანიას შესაბამისი გამოცდილება, რადგან უსაფრთხოების კუთხით აუცილებლად გასათვალისწინებელია ადგილის რთული რელიეფი. მუნიციპალიტეტის მერმა პირველ რიგში აღნიშნა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე არის სკვერი, რომელიც ჩამონათვალში თავიდან არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ მოხდა მისი დამატება პროექტში. შესაბამისად, მოგებული იქნა 37777 ლარის გრანტი პროექტირებაზე. სავარაუდოდ, 2024 წელს დაიწყება შესაბამისი სამუშაოები და დასრულდება წლის ბოლოსთვის. საერთო ჯამში, საუბარია დაახლოებით 3 500 000 ლარის ღირებულების პროექტზე. რაც შეეხება ზიპლაინის მოწყობას, პროექტს გავლილი აქვს შესაბამისი ექსპერტიზა. გარდა ამისა, ხელშეკრულების პირობაა, რომ პროექტი არ ჩაბარდება ზიპლაინის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლების თანხმობის გარეშე.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილეს **გიორგი გოგუაძეს** მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდეს სოფლის პროგრამის ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ქალაქში რამდენიმე ადგილზე მოეწყობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული გადასასვლელი, მათ შორის მერიის შენობის მიმდებარედ. რაც შეეხება სოფლის პროგრამას, ამ საკითხში ეთანხმება საკრებულოს წევრს, მაგრამ ეს

გამოიწვია გარკვეულმა მიზეზმა. კერძოდ, სოფელ გულიანში, ბაღის მშენებლობისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე , არის სტენდი, რომლის გადატანა ხდება მიმდებარე ტერიტორიაზე. ასევე, ლესაში თავის დროზე მოსახლეობის თხოვნა იყო, რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში კეთილმოეწყოთ ადმინისტრაციულ შენობის ფასადი და სახურავი, რის შემდეგაც შენობის გარკვეული ნაწილი დარჩა მოსაწესრიგებელი. გარდა ამისა, დასასრულებელია ნიგოითში სკვერის კეთილმოწყობა. რაც შეეხება ქალაქში მოსაცდელის თემას, ამ ეტაპზე შეირჩა ტერიტორია მაღაზია ,,მარგის“ წინ, სადაც გაკეთდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი გადასაადგილებელი მოსაცდელი, რომლის გადატანა შესაძლებელი იქნება ავტოსადგურის და აგრარული ბაზრის მიმდებარედ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილის, **გოჩა ჯანაშიას** განცხადებით, მიესალმება სოფელ შუხუთში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობის საკითხს, მაგრამ ამის შესახებ თავიდან რომ ყოფილიყო მისთვის ცნობილი, აუცილებლად დააფიქსირებდა თავის მოსაზრებას, რადგან ტერიტორია არ მიაჩნია სწორად შერჩეულად, რის შედეგადაც იზღუდება ლელოს სათამაშო არეალი. თავის მხრივ, ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმაც გამოთქვა უკმაყოფილება. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა გაკეთებულიყო ქვაფენილიანი მოედანი. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ სტიქიის დროს მართალია მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ დაზიანებია უშუალოდ სახლი, მაგრამ დიდი ზარალი მიადგა კარ-მიდამოს, ეზოებს და მოსავალს, მათ შორის თხილს და ციტრუსს. საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ამ კუთხით რაიმე სახის კომპენსაციის გაცემა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** სტადიონთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თავის დროზე შუხუთში და ჩოჩხათში ორი სტადიონის მშენებლობას საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს. რაც შეეხება ადგილ-მდებარეობას, პირადადაც არ იყო მომხრე და ამის შესახებ ჰქონდა საუბარი მერის წარმომადგენლებთან და მაჟორიტარ დეპუტატებთან, მაგრამ როგორც მისთვისაა ცნობილი, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნაც იყო და მათთან ერთად განიხილეს საკითხი. სტიქიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უახლოეს პერიოდში რეგისტრირებულ სახლებზე დაიწყება ფინანსური დახმარების გაცემა. შემდეგი ეტაპზე საუბარია გამაგრებით სამუშაოებზე, სადაც გათვალისწინებულია სახლების გამაგრებაც. ასევე, მუნიციპალიტეტის მხრიდან მოთხოვნილია ნარგავების, მათ შორის თხილის და ციტრუსის პლანტაციებზე გარკვეული კომპენსაციის გაცემა, მაგრამ გადაწყვეტით ჯერ არაფრის თქმა არ შეუძლიათ. რაც შეეხება ქალაქის ქუჩებს, გათვალისწინებულია 6 ქუჩის, მათ შორის ურუშაძის და ხომერიკის ქუჩების რეაბილიტაცია, რაც გარდამავალი პროექტია. როგორც ცნობილია, გასულ წელს წინსწრებით შესრულებულ გარდამავალ პროექტებზე თანხა ჩაირიცხა და ეს ლიმიტი მიმდინარე წელს გამოთავისუფლდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, თერჯოლასთან ერთად პირველ ადგილს იყოფდა. მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა 2 500 000 ლარის ღირებულების პროექტზე. ხელშეკრულებაში დევს პირობა, რომ მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს ეს სამუშაოები. შესაბამისად, არის გარანტია, რომ 2024 წლის ლიმიტიდან ამოვარდება ეს სიტუაცია, რაც თავისთავად სარგებელია. გარდა ამისა, დამატებით დაიწყება როგორც ქალაქის, ასევე, სოფლების შიდა გზების პროექტირება და 2024 წელი მუნიციპალიტეტისთვის უფრო შედეგიანი იქნება. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, მიმდინარე წელსაც ინფრასტრუქტურული კუთხით ფინანსების ათვისების მიხედვით მუნიციპალიტეტი პირველ ადგილზეა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესაბამისი სამინისტროებიდან არის დაპირება, რომ 2024 წლისთვისს 50 %-ით მაინც გაიზრდება საწყისი დაფინანსება, ვიდრე იყო 2023 წელს, რაც შესაძლებელს გახდის მომზადდეს დამატებით პროექტები.

საკრებულოს წევრის **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, ფრაქციამ ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე განიხილა წარმოდგენილი პროექტები და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავი შეიკავა, ხოლო დანარჩენს მხარი დაუჭირა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ფრაქციამ დასვა საკითხი მოსაცდელის მოწყობის თაობაზე როგორც ქალაქში, ასევე გრიგოლეთში. ძალიან კარგია, რომ ქალაქში ეს პრობლემა გვარდება, მაგრამ იქნებ წლის ბოლომდე გრიგოლეთის საკითხიც იქნას ბოლომდე მიყვანილი, მით უმეტეს, რომ საგზაო დეპარტამენტში ამის თაობაზე წერილი გადაგზავნილია. გარდა ამისა, როგოროც ცნობილია, მიმდინარე წლის 8 სექტემბრის სტიქიის დროს დაიტბორა ხიდმაღალას სასაფლაო. პირადად მისი და ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნაა, რაზეც განცხადებითაც მომართეს მერიას, რომ სტიქიის

შედეგების სალიკვიდაციო თანხაში გათვალისწინებული იქნას სასაფლაოს მიმდებარედ გაბიონების და არხის კეთილმოწყობა.

მუნიციპალიტეტის მერმა მოსაცდელის მოწყობასთან დაკავშირებით აქტიური ჩართულობისთვის საკრებულოს ფრაქციას ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მადლობა გადაუხადა. საკრებულოს წევრებსაც აღნიშნულ პრობლემაზე არაერთხელ უსაუბრიათ და ყოველთვის განსაკუთრებით აქტიურობდა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე. ქალაქში მოსაცდელი კეთდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ძალიან კარგი ადგილიც შერჩეულია. რაც შეეხება გრიგოლეთის თემას, ასევე ბათუმის მხრიდანაც უნდა გაკეთდეს მოსაცდელი. უახლოეს პერიოდში განაახლებენ საგზაო დეპარტამენტში გაგზავნილ წერილს. რაც შეეხება სუფსას და ხიდმაღალას საკითხს, აქ იყო დატბორვის ძალიან მაღალი დონე. მაჟორიტარ დეპუტატებთან და მერის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე იმყოფებოდა მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები. გარკვეული მონახაზი გაკეთებულია ყველა ლოკაციაზე და შესაბამისად იქნება გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ სტიქიამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ლესის ადმინისტრაციულ ერთეულს. განსაკუთრებით დიდი პრობლემა შეიქმნა წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. მიუხედავად მერის წარმომადგენლების და ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელის, გოჩა მოქიას ძალისხმევისა, ვერ დადგინდა მიზეზი, რის გამოც დღემდე კორეის უბანს წყალი ვერ მიეწოდება. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ინფრასტრუქტურული კუთხით წარმოდგენილ ცვლილებაში პრიორიტეტულად მოხდეს აღნიშნული საკითხის გათვალისწინება ან უახლოეს პერიოდში გამოიძებნოს გარკვეული თანხა, რათა დროულად მოგვარდეს პრობლემა. ამის შემდეგ საკრებულოს წევრმა ყურადღება გაამახვილა საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიასთან“ დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც მისთვისაა ცნობილი, გუნდის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება მუნიციპალიტეტის მიერ. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, როგორი ვითარებაა, ზოგადად კლუბთან მიმართებაში.

მუნიციპალიტეტის მერმა წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად ძალიან დიდი ზიანი მიადგა და ფაქტიურად, თითქმის ყველა სოფელში დაიმარხა სათავე ნაგებობა, რის შედეგად რამდენიმე ადგილას მათი მოძებნა დღემდე ფიზიკურად შეუძლებელია. რაც შეეხება ლესის ადმინისტრაციულ ერთეულს, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მერის წარმომადგენლების და ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელის თავდაუზოგავი შრომის შედეგად აღუდგა წყლის მიწოდება გარკვეულ უბანს, მაგრამ წყლის გარეშე დარჩენილია კორეის უბნის მოსახლეობა. ითხოვდნენ ძლიერ კომპრესორს, გრაფიკითაც მოხდა წყლის მიწოდება, მაგრამ მაინც უშედეგოდ. ამის თაობაზე წერილობითაც მომართა მერის წარმომადგენელმა. აუცილებლად მოსაძებნია დამატებით რაღაც გზა, რათა მოხერხდეს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება. საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიასთან“ დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ ნამდვილად არ არის კარგი სიტუაცია. შეიძლება გუნდი გადმოვიდეს მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში, მაგრამ როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტებს ამის უფლება არ აქვს, რადგან პირდაპირ ფეხბურთის განვითარების ფონდი მიერ ხდება დაფინანსება. მიმდინარე წლის 11 ოქტომბრამდე კლუბის მიერ ყველა სახელფასო დავალიანება დაფარულია. ამ ეტაპისთვის, მიდის მუშაობა, რომ მოხდეს დამატებით თანხების და ინვესტიციების მოზიდვა კერძო პირების მხრიდან. ასევე, დამატებით, თანამშრომლობენ შესაბამის სამინისტროსთან, რათა რაიმე ფორმით კლუბს გაეწიოს გარკვეული დახმარება. ზოგადად, კლუბთან მიმართებაში განვითარებული რთული მოვლენების და ვალდებულებების გათვალისწინებით, რაც დროში საკმაოდ გაწელილი თემებია, მუნიციპალიტეტის მერის წინადადებაა, რომ შეიკრიბონ ფეხბურთის გულშემატკივრებთან და კლუბის ბედით დაინტერესებულ საზოგადოებასთან ერთად, რათა იმსჯელონ, სწორი და უკეთესი გამოსავლის მოსაძიებლად.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** მოსაზრებით, ერთადერთი რეალური გამოსავალია, რომ იქნებ საფეხბურთო კლუბი კომპლექსურად, ბაზასთან ერთად გავიდეს აუქციონზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **ემზარ თევდორაძის** განცხადებით, მისასალმებელია ყველაფერი, რაც დაგეგმილია და კეთდება სტიქიის შედეგების

სალიკვიდაციოდ, მაგრამ არ არის საკმარისი რაოდენობის ტექნიკა. სტიქიის დროს აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში ექვს სოფელს ერთი ტრაქტორი ემსახურებოდა. ანალოგიური მდგომარეობა იქნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის უმრავლესობაშიც. ყოველივე ამის შედეგად, არის ლოკაციები, სადაც სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ მიდის. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თხოვნაა, რომ ამ კუთხით, ბიუჯეტში მოხდეს გარკვეული ცვლილების გათვალისწინება. რაც შეეხება, წყლის მიწოდებას, სტიქიის შედეგად ამ მხრივ შექმნილი სიტუაცია მხოლოდ ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დონეზე ვერ მოგვარდება, რადგან პრობლემის მოგვარებას ესაჭიროება როგორც დიდი დაფინანსება, ასევე, დაპროექტება და ტენდერის გამოცხადება. აქედან გამომდინარე, თუ შესაძლებელია, მოხდეს თანხების მონაცვლეობა, რათა მოხმარდეს სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას. გარდა ამისა, თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რათა აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილზე დაათვალიერონ შექმნილი სიტუაცია. კერძოდ, მდინარემ სტიქიის შედეგად შეიცვალა კალაპოტი, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას შეუქმნა სერიოზული პრობლემა.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ასეთი დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვერ მოხერხდება. ამ მიმართულებით თანხის გამოყოფა ხდება სარეზერვო ფონდიდან, რასაც პრეზიდენტმა მხოლოდ ახლა მოაწერა ხელი. მუნიციპალიტეტის მხრიდან მოთხოვნა არის ტრანსპორტის მომსახურების დაფარვაზე, რადგან გასტუმრებულია მხოლოდ სასტუმროს ხარჯი. აუცილებლობიდან გამომდინარე, თუკი სადმე სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ მიდის, შესაძლებელია სხვა სოფლიდან მოხდეს ტექნიკის გადმოსროლა. გარდა ამისა, მიმდინარე კვირაში გამოვა მთავრობის განკარგულება დაფინანსების გამოყოფის შესახებ, რის საფუძველზე, შემოყვანილი იქნება დამატებითი ტექნიკა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს და კომპანიების მიერ დაახლოებით ნახევარი მლნ. ლარი ჩუქებული იქნა და ჩამოიწერა ეს ხარჯი. რაც შეეხება წყალმომარაგებას, არის ლოკაციები, სადაც სათავე-ნაგებობა არც კი იძებნება. სანამ ის პროექტები არ განხორციელდება, რის შედეგადაც კაპიტალურად მოხდება წყალმომარაგების მოწესრიგება, მანამდე, სადაც შესაძლებელი იქნება, გატარდება დროებითი ღონისძიებები.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ დამატებით ტექნიკის მომსახურებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეული. კერძოდ, ორმოცაძეების უბანში ორი მიმართულებით და ასევე, მანდარინის ბაღებთან ღელე ჩახერგილია ხეებით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 7 წევრმა (კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე, მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე).
მიღებულ იქნა დადგენილება N19 (25.10.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი:„საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 25/08/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.112.016520) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების პირველი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ**)** დადგენილების პირველი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„მუხლი 8. გასაჩივრების წესი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 2093 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი/მიღებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, საჩივრდება ზემდგომ ორგანოში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი მხარისთვის ჩაბარებიდან, 10 დღის ვადაში.

2. საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი/მიღებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი საჩივრდება სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი მხარისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

3. ამ წესის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჩივრდება სასამართლოში.

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ამ კოდექსის 2341 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.“

გ) დადგენილების პირველი მუხლის ,,ბ“ პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ი ,,საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული თავისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული გადაწყვეტილება (ბრძანება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლითა და ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. მოქალაქეს მიეწოდა ინფორმაცია

სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრების 10-დღიანი ვადისა და გასაჩივრების ადგილის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N67(25.10.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი **მაია აფხაზავამ.** მისი განმარტებით, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში უნდა განხორციელდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტი (პროექტის თანადაფინანსებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 132 261,19 (ას ოცდათორმეტი ათას ორასსამოცდაერთი ლარი და ცხრამეტი თეთრი) ლარით) დანართის შესაბამისად.“

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის **კახაბერ ასკურავას** განცხადებით, ვინაიდან ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ევროკავშირის დაფინანსებით ბევრი პროექტი ხორციელდება, მას აქვს გარკვეული წინადადება. კერძოდ, ეროვნული პარკი მომავალში შეიძლება გახდეს საკმაოდ სერიოზული ტურისტული მარშრუტი, მაგრამ აქ პრაქტიკულად არ არსებობს სასტუმრო. ზოგადად, ადგილობრივმა მოსახლეობამაც უნდა იფიქროს, რათა ტურისტული კუთხით განავითაროს საკუთარი ინტერესები. ასევე, ძალიან კარგი იქნება, თუ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რომელიმე ტერიტორია სიმბოლურ ფასად გადაეცემა ინვესტორს, რათა იქ ააშენოს სასტუმრო. საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დაინტერესდა, მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად თუ ჰქონდათ ამის თაობაზე რაიმე სახის მსჯელობა.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ როცა ამ პროექტს საფუძველი ეყრებოდა, თავიდანვე აფიქსირებდა ყველა სამთავრობო დონეზე, რომ კოლხეთის ეროვნული პარკი იქნებოდა არა მარტო გურიის მარგალიტი, არამედ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტურისტული ლოკაცია. რაც შეეხება გრანტს, ძალიან კარგია, რომ იზრდება ნავების რაოდენობა, რომლითაც წყლის დონის მიუხედავად შეუძლიათ გადაადგილება, მათ შორის ჭაობშიც. გარდა ამისა, დამატებით მუშაობენ იმასთან დაკავშირებით, რომ პირველ რიგში მოხდეს გზის მოასფალტება. სავარაუდოდ, 2024 წლის გაზაფხულიდან დაიწყება გზის

დაგება და პროექტის ღირებულება დაახლოებით 2 800 000 ლარია. საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის წინადადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს მართლაც კარგი იდეაა და ამის შესახებ მასაც ნამდვილად აქვს ნაფიქრი, მაგრამ ინვესტორისთვის რაიმეს შეთავაზებას ჯერ-ჯერობით ადგილი არ ჰქონია, რადგან გზის თემა ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი გამოწვევაა. როცა ეს საკითხი გადაწყდება, მაშინ შეიძლება ერთობლივად, სამთავრობო სექტორთან კომუნიკაციით გარკვეული გადაწყვეტილების მიღება ინვესტორის მოძიებასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ თავიდანვე სწორი მიმართულებით დაიწყეს მუშაობა, რომ კოლხეთის ეროვნული პარკი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ლოკაცია. აქედან გამომდინარე, მერიის შესაბამისი სამსახურები დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციით მუშაობენ და შესაბამისი წერილიც გადაგზავნილია იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტმა მოიპოვოს ლიცენზია, რათა შეძლოს ტურისტული საქმიანობის განხორციელება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის **კახაბერ ასკურავას** განცხადებით, საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მათი სრული მხარდაჭერა ექნებათ. ასევე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და მერიის შესაბამის სამსახურს გაწეული სამუშაოებისთვის და უსურვა ამ მიმართულებით შემდგომი წარმატებები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N68 (25.10.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობითი განცხადებით (განცხადების N13/302328333-30 თარიღი: 10.10.2023) მომართა შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ (ს/ნ 433654397) დირექტორმა ეკატერინე ჩუბინაშვილმა, რომელმაც ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, ითხოვა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106^1 მუხლის მე- 6 ნაწილის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების საფუძველზე, შპს-თვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიზანშეწონილობის საფუძველზე, მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N69 (25.10.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქისათვის“ (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქის“ (ს/ნ 438724490) დირექტორმა ვახტანგ ჩიგოგიძემ, (კანცელარიის N10/302329022 – 17.10.2023 წ.) რომელმაც ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის, ხუთი წლის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში - ს/კ 27.00.336; ს/კ 27.00.356; ს/კ27.00.358; ს/კ 27.00.355; ს/კ 27.00.357; ს/ კ 27.00.354 საკადასტრო კოდებზე განთავსებული 231 ერთეულ გარე განათების საყრდენ ბოძზე განსაზღვრული მონაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ შპს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქს“, მის მიერ მოთხოვნილი მუნიციპალური ქონება, გადაეცეს ხუთი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით.

აღნიშნულმა სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფის კავკას აუდიტის“ 2023 წლის 2 ოქტომბრის N424 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, ერთ ერთეულ ბოძზე არსებული მონაკვეთის (ნაწილის) წლიური სარგებლობის უფლების ღირებულება განსაზღვრა 5 (ხუთი) ლარის ოდენობით, ჯამში 231 გარე განათების ბოძის სარგებლობის ღირებულებამ შეადგინა 1155 (ათას ას ორმოცდათხუთმეტი) ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N70 (25.10.2023).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის, **გიორგი გოგუაძის** განცხადებით, ადგილობრივი პრესის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ეკლესიის მშენებლობის თაობაზე. მან გამოთქვა დაინტერესება, ვინ აშენებს და სად იგეგმება მისი მშენებლობა, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ მშენებლობის სურვილი გამოთქვა სოლომონ ჩხაიძემ. საუბარი იყო ორ ლოკაციაზე. კერძოდ-ერთი ეს არის ახალ რეაბილიტირებული სკვერი, სადაც დგას ჯვარი, ხოლო მეორე-სადაც საახალწლო ნაძვის ხე იდგმება. საბოლოოდ შეირჩა მეორე ვარიანტი, მაგრამ საბოლოო ჯამში, ერთობლივად უნდა განიხილონ და იმსჯელონ საკითხის შესახებ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, გარდა გვიმბალაურისა, ფუნქციონირებს ეკლესია. აქედან გამომდინარე, გამოთქვა მოსაზრება, რომ გვიმბალაურის ცენტრში არის ყოფილი სკოლის ტერიტორია, სადაც სრულიად შესაძლებელია აშენდეს ეკლესია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე, **კარლო კვიტაიშვილი** მიესალმება ქალაქის ქუჩების რეაბილიტაციას, მაგრამ რამდენიმე ქუჩა მაინც გამოწვევად რჩება. იმედოვნებს, რომ მომავალი წლის

ბიუჯეტში მოხდება მათი გათვალისწინება. ასევე, დაიწყო თხემლნარი-ბაკურის გზის მოწესრიგება, რაც წლების განმავლობაში მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. ამის შემდეგ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა სიტუაციაა წყლის რეზერვუართან დაკავშირებით, რადგან პრობლემა სასწრაფოდ მოსაგვარებელია.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ძველი რეაბილიტირებული რამდენიმე ქუჩა საჭიროებს აღდგენას. ამ ეტაპისთვის საუბარია ასეთი ორი ქუჩის-ჭანტურიას და გორგასლის ქუჩების გათვალისწინებაზე. ასევე, მოსაწესრიგებელია კვირკველიას და თავისუფლების ქუჩებიც. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია, კვირკველიას ქუჩა. თავის დროზე, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან იყო დაპირება, რომ 2023 წლისთვის დაიწყებოდა სამუშაოები და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში საუბარია 37 მლნ. ლარის ღირებულების პროექტის განხორციელებაზე და მათი დასრულების შემდეგ დაიწყება ქუჩების აღდგენა-მოწესრიგება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის, **გიორგი გოგუაძის** თქმით, ყველაზე პრობლემურია ქალაქში კანალიზაციის სისტემა. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ კომპანიამ, რომელიც სოფელ აკეთში აწარმოებდა წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, მათი დასრულების შემდეგ გახსნა სამშენებლო ობიექტი, დაიწყო მდინარე აცაურადან ხრეშის ამოღება. ასევე ამზადებდა გვირაბებს. ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილემ, **ემზარ თევდორაძემ** განმარტა, რომ კომპანია გვირაბებს ნამდვილად ამზადებდა, მაგრამ მდინარიდან ხრეში არასდროს ამოუღია, მაშინაც კი, როცა სოფელმა, საჭიროებიდან გამომდინარე, სთხოვა კომპანიას ხრეშის ამოღება.

მუნიციპალიტეტის მერმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ კომპანიას ხელშეკრულებაში ნამდვილად ეწერა დაზიანებული ობიექტების აღდგენა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლობის მიერ ხრეშის ამოღებასთან დაკავშირებით არაერთი თხოვნისა, ნებართვის არ ქონის გამო ამის უფლება ვერ მისცეს. თუკი მსგავსი ფაქტი დაფიქსირდება, შესაბამისად, ამას მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. რაც შეეხება კანალიზაციის სისტემას, ეთანხმება, რადგან ძალიან რთული სიტუაციაა. როგორც ცნობილია, წყალმომარაგების მოწესრიგების კუთხით, დაიხარჯება დაახლოებით 37 მლნ. ლარი. ასევე, გაერთიანებული წყალმომსრაგების კომპანიას მუნიციპალიტეტში გამოეყოფა ტერიტორია, სადაც მოაწყობს ცალკე ოფისს. გარდა ამისა, დამატებით, მოთხოვნილი აქვთ მიწის ნაკვეთი, სადაც დაიწყება გაწმენდითი ნაგებობის მშენებლობა, რაც შეიძლება დაჯდეს 15 მლნ. ლარი. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ზოგადად, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება მუნიციპალიტეტისთვის დიდი გამოწვევაა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა და ინფორმაციის მიწოდება, გადაწყვეტით მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ 2024 წლისთვის მოხდება საკითხის გათვალისწინება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის, **გიორგი გოგუაძის** თქმით, ათეული წლების წინ გაკეთებული 14 ჭაბურღილიდან დღეისთვის მუშაობს მხოლოდ შვიდი, დანარჩენი კი დახშულია. როცა კეთდება გამწმენდი და მიმღები ნაგებობა, უნდა იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის მზარდ რაოდენობაზე. თავის დროზე კომპანიამ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, როცა მიმღები დაშალა და გაყიდა. ასევე, არასწორად იქნა გასხვისებული მუნიციპალიტეტის მიერ მაჩხვარეთის წყლის ავზები. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ახალ აბონენტებს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მოემსახურება ადგილზე და არა მეზობელ მუნიციპალიტეტში, როგორც ეს ,,სოკარის“ შემთხვევაშია. მუნიციპალიტეტში უნდა ფუნქციონირებდეს მომსახურების ცენტრი. კარგი იქნება, თუ ამასთან დაკავშირებით მოიწვევენ ,,სოკარის“ წარმომადგენლებს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, რა ვადაში უნდა დაასრულოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 37 მლნ. ლარის ღირებულების პროექტი და როდიდან დაიწყება გზისპირა სოფლების მომარაგება. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, კომპანიას, დაპროექტება-შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს 26 თვე. სოფლებში სერიოზული პრობლემები შექმნა სტიქიამ, რის შედეგად ზოგიერთ ადგილას ბევრი ლოკაცია სათავე - ნაგებობებთან ერთად თავიდან არის აღსადგენი. გარდა ამისა, ხორციელდება გარკვეული ცვლილება, რადგან ოჯახები, რომლებიც ექვემდებარებიან გასახლებას, შესაბამისად,

აღარ იქნება აბონენტი. რაც შეეხება გაზიფიცირებას, დამეწყრილ სოფლებში სისტემის გაყვანა გათვალისწინებული იყო მიწის ქვეშ, მაგრამ გაკეთდება მიწის ზემოთ. საერთო ჯამში, აღნიშნულ ცვლილებებს დაჭირდება გარკვეული პერიოდი, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ვარაუდობენ, რომ წყლის მიწოდების მოწესრიგება წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. აბონენტების მომსახურებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ახალ აბონენტებს მოემსახურებიან ადგილზე, საუბარია მხოლოდ სოფელ წყალწმინდაზე, რომლის მიერთება მოხდება ურეკზე და სავარაუდოდ, მოემსახურება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** აღნიშნა, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს აქვს პრობლემები, რაც მუნიციპალიტეტის დონეზე ვერ მოგვარდება. ერთი ოთახი, რომელსაც აქვს ცალკე შესასვლელი, მუნიციპალიტეტის მიერ უზუფრუქტის ფორმით გადაეცა იურიდიული მომსახურების ცენტრს. თავის დროზე მუნიციპალიტეტში მოვიდა შესაბამისი სტრუქტურიდან წერილი იმის თაობაზე, რომ მუზეუმის შენობის გასხვისება არ შეიძლება არანაირი წესით. ამასთან, ამ ხნის განმავლობაში ოთახით საერთოდ არ უსარგებლიათ.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ასეთი მომსახურების ცენტრი უნდა გახსნილიყო ყველა მუნიციპალიტეტში. ამასთან, იგი უნდა განთავსებულიყო შენობის პირველ სართულზე, რადგან ეს იქნებოდა უფასო მომსახურება და კონსულტაციის გაწევა. თავის დროზე საკრებულოსთან ერთად მიღებული იქნა გადაწყვეტილება ოთახის გამოყოფის თაობაზე. ასევე, გარკვეული კადრებიც შერჩეული ჰყავდათ, მაგრამ ადგილზე დათვალიერების შემდეგ, განაცხადეს, რომ აღნიშნული ფართი არ გამოდგებოდა და იქნებ გამოიძებნოს სხვა ფართი. რაც შეეხება წერილს, ასეთი მუნიციპალიტეტში ნამდვილად არ მოსულა. მუზეუმში არსებული პრობლემებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შენობა ავარიულია და გარკვეული გამოწვევები არის. მიმდინარე წლის აპრილის თვეში მიმართეს ექსპერტიზის სამხარეო ბიუროს შენობის მდგრადობის ხარისხის დადგენის შესახებ, რათა შეფასდეს შესაძლებელია თუ არა რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ხარჯით სრული აღდგენა-მოწესრიგება ვერ მოხერხდება, მაგრამ დადებითი დასკვნის შემთხვევაში, შესაძლებელია დაიწყოს შიდა ინტერიერის კეთილმოწყობის სამუშაოები, რისი ფინანსური რესურსი უნდა გამოიძებნოს ადგილობრივ ბიუჯეტში. რაც შეეხება ოთახის მუზეუმისთვის დაბრუნებას, ეს საკითხი პრობლემა ნამდვილად არ იქნება და დეტალურ პასუხს ამასთან დაკავშირებით საკრებულოს შემდგომ სხდომაზე ან წერილობით გასცემს.

საკრებულოს წევრის **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, როგორც მისთვისაა ცნობილი, სუფსაში საბავშვო ბაღი უნდა გახსნილიყო პირველ ნოემბერს. ასევე, ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში ხელფასის 10 %-იან მატებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ფრაქციამ ამასთან დაკავშირებით ბიუჯეტის განხილვის დროს დასვა საკითხი. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში თუ იქნება გათვალისწინებული დაანონსებულ 10 %-იანზე უფრო მეტი მატება.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების გახსნა გარკვეული მიზეზების გამო გაჭიანურდა. კერძოდ, დროულად გამოცხადდა ავეჯის შეძენაზე ტენდერი, მაგრამ კომპანიის არაკეთილსინდისიერი საქციელის გამო გადაეცა მეორე კომპანიას, რასაც თავის მხრივ მოჰყვა გარკვეული გაუთვალისწინებელი გარემოებები. საბოლოოდ, მიმდინარე თვეში დაიწყო ავეჯის შემოტანა და ახლაც მიმდინარეობს აწყობითი სამუშაოები. გარდა ამისა, მშენებლობის დასრულების შემდეგ, საბავშვო ბაღი გადაეცა მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც არის დამკვეთი და აქამდე არ მომხდარა მისი გადმოცემა მუნიციპალიტეტის მერიისთვის. უახლოეს პერიოდში ეს საკითხი მოგვარდება, რათა პრობლემა არ შეექმნას ბაღების ფუნქციონირებას. რაც შეეხება ქონებას და ინვენტარს, მუშაობს შესაბამისი სამსახური, რათა მოხდეს მათი აღწერა, ჩამოწერა და აუქციონით გასხვისება. მათი სურვილი იყო, რომ ჩამოწერის შემდეგ ეს ინვენტარი გადასცემოდა სტიქიის დროს დაზარალებულ მოქალაქეებს, მაგრამ კანონმდებლობა ამის საშუალებას არ იძლევა. რაც შეეხება ხელფასების თემას, მიმდინარეობს მუშაობა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში დარეგულირდეს ეს საკითხი, მაგრამ ამ ეტაპისთვის მოხდება მხოლოდ 10 %-იანი მატება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **ემზარ თევდორაძის** განცხადებით, მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულებში, რომელიც სტიქიის დროს დაზარალდა, მერის წარმომადგენლები უანგაროდ და თავდაუზოგავად 24 საათის

განმავლობაში მუშაობდნენ. ბევრ შემთხვევაში, საკუთარი ძალისხმევით, გვერდით ედგნენ და ეხმარებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ ფინანსური კუთხით მოხდება ამ ადამიანების წახალისება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე, **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, რა ვითარებაა ახალი ავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ თანხა გადახდილია, მაგრამ გარკვეული პროცედურებია. ზოგადად, კი ყოველდღიურად ელოდებიან მათ შემოყვანას. გარდა ამისა, მომავალი წლის თებერვალ-მარტის თვეში დაიწყება აგრარული ბაზრის და ავტოსადგურის მშენებლობა, რაც მუნიციპალიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, არის სურვილი, რომ მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში მოხდეს ტექნიკის მომსახურების ეზოს მოწყობის გათვალისწინება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 ოქტომბერი **2023** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55.	
2	ემზარ თევდორაძე	12 00	
3	ვერიკო კვირკველია	11 55	
4	გიორგი ჩახვაძე		
5	გიორგი ხელაძე	11 55	
6	ალექსანდრე მახათაძე		
7	ზაზა წულაძე	11 50.	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 50	
10	ია მოქია	11.55	
11	კახაბერ ასკურავა	12 00	
12	მაკა მშვიდობაძე	11:55 წთ.	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 50	
14	კარლო წილოსანი	11 57	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
16	ნინო მშვიდობაძე	12.15	
17	გოგი მორჩილაძე	12-00	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-56	
19	გიორგი გოგუაძე	11 50	
20	გოჩა ჯანაშია	11 55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 50	
23	კახა თედორაძე	11 55	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	
25	ირმა მგელაძე	12 05	
26	გივი ცინცაძე	12 05	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	